25 აგვისტოს (6 სექტემბერს) 1867. № 34. მეოთხე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

განცხადება.

20 ივლისიდამ მელიქიშვილის და კამპ. სტამბა და „დროების“ რედაქცია იმყოფება ხანის ქუჩაზე, პოლიციის გვერდით, თავ. მიხეილ ბებუთოვის სახლებში.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი: — მთავრობის განკარგულება: ტფილისის სასწავლებლების დირექციისაგან. საფოჩტო ეკიპაჟების დაწესებულების უმთავრესის კანტორისაგან. პოლიტიკა: ანგლია. იტალია. ოსმალეთი. საბერძნეთი: დუნაის სამთავროები. შეხიკა. — ტელეგრამები. დროების კორრესპონდენცია: ბორის უეზდიდგან. კერძოობითი განცხადება.

მთავრობის განკარგულება.

ტფილისის სასწავლებლების დირექციისაგან. თანახმად კავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების ინსპექტორის წარდგინებისა მისმა იმპერატორების უმაღლესობამ კავკასიის ნამესტნიკმა ინება ამწლის 1 სექტემბრიდგან გაიხსნას ბორის უეზდის სასწავლებელთან კლასები სადილთუკან ბორის ქალაქის და იმის ახლომახლო ადგილების პატარა ქალებისთვის. ამ კლასების გახსნისათვის ბორის უეზდის სასწავლებელის ზედამხედველს აქვს მიცემული კანონები. მასწავლებლებათ იქმნებიან ბორის უეზდის სასწავლებლების მასწავლებლები. ისინი ასწავლიან ქალებს იმ პროგრამმაზედ, რომელიც მოწაფეებისათვის დადებულია. ვინც ისურვებს ამკლასებში სიარულს, იმას შეუძლიან მიმართოს თხოვნით ბორის სასწავლებლების ზედამხედველს, ნადეორნის სოვეტნიკს ბაუსმანს; ამასთან ოვითოეულმა მოწაფემ — ქალმა წინდაწინ უნდა აძლიოს თვეში 3 მანეთი. რაც ფული შეგროვდება მასწავლებლებს და კლასნი დამას გაუყოფენ. კლასნი დამა ხელ-საქმეს ასწავლის.

საფოჩტო ეკიპაჟების დაწესებულების უმთავრესის კანტორისაგან.

საფოჩტო ეკიპაჟების დაწესებულების უმთავრესის კანტორაში ამ წლის 5 სექტემბერს მოხდება ტორგი, სადაც პირობით შეეკვრებიან მსურველს კავკასიის გზების სტანციებისათვის ქერი, ფშერია, ბზე, და ფქვილი შეამზადონ, რაც იმათ მომაეალს 1868 წელიწადში მოუნდებათ. ვისაც ჰსურს ამ ოპერაციის აღება, ის უნდა გამოცხადდეს კანტორაში დანიშნულს ვადაზედ ზალოგით. აქ შეიტყობს ის ყველა სტანციებისათვის ქერი, ფშერია და სხ. რამდენ რამდენი იქნება საჭირო.

პოლიტიკა.

ანგლია. ლონდონიდგან გვაცნობებენ 15 აგვისტოდგან, რომ სარეფორმო ბილლი კაროლევამ დაამტკიცა. ლორდების პალატაში ლორდმა სტრაფფორდმა მოითხოვა, რომ პალატას წარუდგინონ დიპლომატური მიწერ-მოწერა ქანდიის საქმეზე. ლორდმა დერბიმ მიუგო, რომ ოსმერ-ფაშის წარმატებით მოქმედებამ საქმის მდგომარეობა სრულებით შეცვალაო. იმან აქო ოსმალეთელი ჯარის ყოფა ქცევა და წარმოსთქვა, რომ ოსმალებს ქრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესობის მეტი არა უნდათ რაო; ბერძნებმა თავი უნდა დაანებონო თავის პატივ-მოყვარულს განზრახვასაო. როგორც დერბი ამბობს, არა მგონი, რომ თვითონ კანდიელებს ჰსურდეთო საბერძნეთთან შეერთება. ოსმერ-ფაშამ დროებით შეაჩერა სამხედრო მოქმედება, რადგან იმასა ჰსურს, რომ სისხლის-ღვრა არ მოხდეს. ლორდი სტრაფფორდი დაკმაყოფილდა ამისთანა პასუხითა და უკან წაიღო თავისი წინადადება. მთავრობამ აღარ ისურვა ბილლი, რომელიც შეეხება მიტინგების გაკეთების აკრძალვას საკაროლო პარკში.

იტალია. იტალიის ხალხის აზრი ამ ჟამათ. 7 აგვისტოს, ფლორენციიდამ სწერენ გაზეთში „Times“: „მენოტი გარიბალდი სამი თუ ოთხი გარიბალდიელ აფიცრებით მართლა ყოფილა პერუჯოს და ორვიეტოს, მაგრამ ის ახლა კიდეც დაბრუნდა ფლორენციაში. აქამდინ არაფერი შეგვიტყვია იმ სამ გარიბალდიელების გროვაზე, რომლებიც თითო-თითოთ ოთხმოც-ოთხმოც კაცისაგან არის შემდგარი. უნდა გითხრათ, რომ აქ წინათ ეჭვობდნენ, რომ გარიბალდის განზრახვა არ ასრულდებაო, და კიდეც ფიქრობდნენ, რომ გარიბალდი ისევ მალე წავა ქაპრერრას. მაგრამ ახლა ისევ ხმა დააგდეს, რომ გარიბალდიმ მიუცილებლათ მოძრაობა უნდა მოახდინოსო. მე მაინც ვეჭვობ ამაში. ვერც ერთი ჩვენი გაზეთი ვერ დაარწმუნა „მონიტორის“ პასუხმა და გენერალ დუმონის ელჩობის შესახებ წინააღმდეგმა პასუხმა. ჩვენი გაზეთები ამბობენ, რომ გენერალ დუმონის ელჩობისგამო ანტიბის ლეგიონზე რაც რამ ითქვაო, ეს სულ სხვის საქმეში გარევას ნიშნავსო. ამ ლეგიონით 15 სექტემბრის კონვენცია დარღვეაო და ამბობენ, რომ თუ მინგეტტიმ, ლამარმორამ და რიკაზოლიმ სხვა დამცროებასთან ამ გვარი საქმეც მოითმინესო, უფრატაცი მაინც უნდა დაეხსნას შრანციის წინაშე ყურ მოჭრილ-ყმობასაო. თუმცა ფრანციულ მთავრობის გაზეთებმა პასუხი გასცეს, მაგრამ რატაცი მაინც მოვალეა იტალიის პალატას გამოუცხადოსო, რომ იტალიის მთავრობა ვერ დაკმაყოფილდებაო ამ გვარი პასუხითა. შესანიშნავი ის არის ამ საქმეში, რომ მთელი იტალიის პრესსა (ჟურნალები და გაზეთები) ერთს აზრს აცხადებს. თუ მართლა გენერალ დუმონის ელჩობას აზრში აქვს ანტიბის ლეგეონის სამხედროთ დაწყობა, მაშინ უსაცილოთ პრესსაში გაცხარებული ბაასი უნდა მოხდეს. ამასთანავე ცეცხლ-მომდები ენა პრესსისა ძალიან შეეწევა გარიბალდის თავის განზრახვაში.

ოსმალო. ბოლგარის გაზეთის „ნაპრედაკ“ის კორრესპონდენტი სწერს შემდგომს ახალს პროკლამაციას, ბოლგარიაში გავრცელებულს, რომელშიაც ასე სწერია: „ბოლგარიელებო! ოსმალების მმართებლობამ ხელმეორეთ კიდევ გამოაცხადა მთელის ევროპის წინ, რომ ის არ აპირობს თავისს აზიურს პრინციპებს თავი დაანებოს. ის შეუბრალებლათ სდევნის ჩვენის მამულის უკეთესს შვილებს და მეშფოთე რაიაებათ უწოდებს იმათ. ამ გვარს ბარბაროსულს საქმეებს ჩაიდენს დუნაის მაზრის გენერალ-გუბერნატორი, მიდათ-ფაშა და არა ფიქრობს გამოიკელიოს ის მიზეზები, რომლებმაც ბოლგარიაში ღელვა მოახდინეს. ბოლგარებო, თვითოეულმა თქვენგანმა იცის, რასაც ის გვიპირობს. ამისთვის ჩვენ ჩვენის თავისთვის უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენს ძველიდგანვე მტერს არ შევემუსვრინოთ. დუნაის ოფიციალური გაზეთი, რომელიც ფაშას ხელთ უპყრია, დიდათ აქებს ოსმალოს ჯარის მამაცობას, რომლებმაც იმის სიტყვით მოსპეს ბალკანის მთებში გაცვივნილების თაბუნები. მუსულმანები ამ სიტყვით მოიხსენებენ იმ მამაცებს, რომლებიც თავისს სისხლს ღვრიან ჩვენის სამშობლოსთვის, სარწმუნოებისთვის და თავისუფლებისათვის. მაგრამ ამ გვარი ოსმალების რწმუნება მეტის მეტი უსვინიდისობა და ტყუილი არის. ბანდგომილი ბოლგარელების სიმხნე ოსმალებს შიშის ზარს სცემს და ბალკანის მთებში შესვლას ვერ აბედვინებს. ბოლგარებო, ის კაცნი, რომელთაც დაასკვნეს ბოლგარიის გულისთვის ომი, აღარას დროს აღარ დამორჩილდებიან თავიანთს ძველიდგანვე მტერსა. ისინი ხელიდგან აღარ დაადგებენ მახვილს, მინამ ან ერთი ოსმალო ბოლგარიის ქვეყანაში დარჩებოდეს, მინამ ბოლგარია არ განთავისუფლდება და დაუმოკიდებული შეიქმნება. ძმებო! დავიანახოთ ქვეყანას, რომ ჩვენი ნათესავი ისევ ცოცხალია, რომ ჩვენ გვამხნევებს წმინდა სახელი ჩვენთა გმირებთა: ქრუმისა, ვლადიმირისა, აქსენისი და რომ ჩვენ იმათგან დაკეალულს გზას მივსდევთ. უფალმან აკურთხოს ჩვენი წმინდა და ალალ-მართალი საქმე და შეგვწყნაროს ჩვენ თავისის ყოვლად-შემძლებელის საფარველისამიერ.“

— გაზეთში „სევეტოვიდ“ იწერებიან რუშჩუკიდგან, 18 (30) ივლისს: ოსმალებმა კიდევ ჩამოახრჩეს ორი ახალგაზდა ბოლგარი. რუსის კონსულს ჯერაც არ მიუღია დაკმაყოფილება თავისის მოსამსახურის მამის მოკვლაზედ. ის მოხუცებული ბოლგარი, ერთს რუშჩუკის მახლობლად მყოფს სოფელში დაბადებული და აღზრდილი, ორმა ოსმალომ შუადღისას დაკუწა ხანჯლით ბაზარში, სადაც ის პურსა ჰყიდდა. ვარნაში დახოცეს ოსმალებმა ქალები, ყმაწვილები და მოხუცებულები. მთებიდგან მივიღეთ სანუგეშო ამბავი. ბოლგარელი ინსურგენტების წინამძღომელმა, პანაიოტტმა სლივნის მახლობლათ დაიბანაკა; ოსმალები შეეცადნენ ამ გამაგრებული ბოლგარების თავს დასხმას, მაგრამ ბოლგარებმა უკან დააბრუნეს დიდის დანაკლისით; ეხლა ოსმალები თავს ანებებენ პანაიოტტას და უკან მოდიან. სადიკ-ფაშამ (ჩაიკოვსკიმ) ცუდი გამარჯვება ნახა. თვითონ დაიჭრა და 300 უაზახი მოუკვდა ბოლგარებთან ბრძოლაში. პანაიოტტას ჰყავს 1,500 იუნაკი (მამაცი ბოლგარი). ოსმალები ვეღარ ბედამენ იმათ თავს დასხმას, ამისთვის რომ იმათ ჩაიკოვსკის 300 უაზახ გარდა, 400 კიდევ სხვა მოუკვდათ სხვა და სხვა ბრძოლაში. ტელეგრაფი კონსტანტინეპოლიდგან რუშჩუკამდინ ალარ მუშაობს. მიდათ-ფაშამ ხელმეორეთ გაუგზავნა ბოლგარიის ინსურგენტებს წინადადება იარაღი აიხსნან და დამშვიდნენ, და ამასთან შეუთვალა, რომ სულთანის ბრძანების ქვეშ ორმოცი მილიონი ოსმალო არისო, რომლებიც რაიების (*) გასრესა შეიძლებენო. ბოლგარებმა უპასუხეს, რომ არას დროს არ დაგმორჩილდებითო, — ღმერთმა დასამხრეთის სლავიანებს გაუმარჯოსო. ბანრისხებულმა მიდათ-ფაშამ ბრძანა მიჩუ-ნიკოლუ დაახრჩონ.

— ამავე გაზეთში, 11 (19) ივნისიდგან იწერებიან ბოლგარიიდგან: სამძღვარზედ სერბიისაკენ მშვიდობიანობაა, მაგრამ შიგ ბოლგარიაში ოსმალები ძრიელ სტანჯავენ ხალხს და იძულებულ ჰყოფენ მთებში თავი მოარჩინონ. არაფერი არ ვიცით, ჩვენზედ რას სწერენ, ამისთვის რომ ჯერ ერთი გაზეთი არ მოგვდის და ჩვენი წიგნებიც ალაგას არ მიდიან. ჩვენ დავაწყეთ დავიხოცნეთ და არ დავმორჩილდეთ ოსმალებს; ველით, რომ სხვა სლავიანები მოგვეშველნენ. საუბედუროთ, ჩვენთან მოდიან ტყუილი ძმები და ორგულნი. მსრეთ, 14 (26) ივლისს ჩვენ ბანაკში მოვიდა უცნობი სერბი და გვახარა ასზედ მეტი სერბის მოდენა ჩვენს მოსაშველებლათ. შუადღის დროს ჩვენმა ყარაულებმა მართლა შენიშნეს ასი შეიარაღებული ცხენოსანი, რომლებშიაც ერიენენ რამდენიმე ჩერქეზებიც; თუმც ჩვენ იმათ კარგათ ვერ ვარჩევდით მთებში, მაგრამ მაინც გავფრთხილდით, საომრათ დავემზადენით. ამ დროს ჩვენთან მოირბინა ბოლგარელმა მწყემსმა და გვითხრა, რომ ოსმალები მახლობლათ მყოფს სოფელს დაეცნენო. ისინი იყვნენ ჩაცმულნი სერბიულათ; მხოლოთ რამდენიმე ჩერქეზი და სხვა სალდათები იყვნენ — თავიანთ ტანისამოსით. იმავე წამს ჩვენ ოთხ დასტათ დავეწყეთ და რეზერვებით ერთი გამაგრებული პოზიცია დავიჭირეთ. ჩვენ ვიყავით 500 კაცი. ოსმალები ბანაკზედ მყოფთ რეზერვებს დაესხნენ, მაგრამ ყოველ მხრივ შემოვერტყით და არც ერთი კაცი აღარ დარჩომილა ცოცხალი. ჩვენ მხოლოთ რამდენიმე კაცი დაგვეჭრა. ეს ომი ბალკანის მთებში იყო, შვიდს ვერსტზედ დიდის გზიდგან, რომელიც იანოპოლიდგან სოფიაში მიდის.“

საბერძნეთი. გაზეთში „Independange Belge“ იწერებიან ათინიდგან, 1 აგვისტოს: „საქმე, რომელზედაც ამდენი სხვა და სხვა გვარი ლაპარაკი იყო, შესახებ საქრისტიანო სახელმწიფოების ქანდიის ქომაგობაზედ, მზათ იყო ბოლოს გათავებულიყო. ხუთშაბათს, 25 ივლისს საღამოზედ გვიან შრანციის ელჩმა გამოაცხადა სახალხოთ თავისის მმართებლობისაგან მიღებული ტელეგრამმა, და მისცა ადმირალს სიმონს ბრძანება დაუყოვნებლივ ქანდიაში წავიდეს და იქიდგან, რამდენსაც შეიძლებს, გამოიყვანოს ქალები, ყმაწვილები და მოხუცებულნი, რომელნიც მტრის ხელით იხოცებიან, მტრის ომისაგან გაჩანაგებულ კუ-

(*) რაიას ეძახიან ოსმალები ყველას, ვინც პორტას ქვეშევრდომია და მაჰმედის სარწმუნოებას არ აღიარებს.

ნძულზედ. პორტაში მყოფთ რუსეთის და იტალიის ხომალდებსაც თავისის მხრით შემწეობა უნდა მიეცათ იმისთვის ამ კაცთ მოყვარული საქმის აღსრულებაში მოსაყვანელათ. მეორეს დილით საადმირალო ხომალდი „Renommée“ გამოვიდა პირეიადგან. იქ შეჯგუფებულმა ხალხმა დალოცა ის დაითხოვა ღვთისგან კეთილათ დაბოლოება იმ საქმისა, რომლის აღსრულებასაც მხნე სიმონი და იმისი ამხანაგები შეუდგნენ. ამაღე დღეს გამგზავრდა ქანდიაში იტალიის ცეცხლის გემი. რუსის სამხედრო ხომალდები კი, საიდუმლოთ მიღებული ბრძანების ძალით, სამი დღეც გავიდა რაც ქანდიის საზღვარზედ იდგნენ. ოცდა ოთხი საათის შემდეგ, როცა ადმირალი სიმონი წავიდა, პარიჟიდგან კიდევ მოვიდა ტელეგრამმა, უფრო ძალა დატანებული. ეს ტელეგრამმა ადმირალს წაუღო ნავმა „სალამანდრა“თ წოდებულმა. ამან მეორე დღეს მოიტანა ქანდიიდგან სრულებით მოულოდნელი ახალი ამბავი, რომ სერდარ—ეკრემმა და სერვერ—ეფენდმა უარი სთქვესო უცხო ქვეყნის ფლოტის იმათ საქმეში გარევნაზედაო. ისინი ამბობენო, რომ დიდის ვეზირისაგან ალი—ფაშისაგან არაფერი ინსტრუქციები არ მიგვეღიაო და ამისთვის არ შეგვეძლიან თანახმა გავხდეთო კანდიელების ცოლშვილის უცხო ქვეყნის ხომალდებით გასტუმრებაზედაო. ჩვენიმის ბრძანებას უნდა დაუცადოთო. ოფიციალური დეპეშებით შევიტყეთ, რომ კანდიელების ცოლ-შვილი, რომელთაც უნდათ კუნძულის თავის დანებება, ზღვის კიდეებთან ვეღარ მოდიან, ამისთვის რომ ოსმალოს სამხედრო გემები, სფაკიის კიდეების მისადგომელ ადგილებთან დგანან და ზარბაზნებს ისვრიან. ამ გზით აღარავის უშვებენ კიდეებთან. მაგრამ რუსეთის ფრეგატმა „ბენერალ-ადმირალმა“ და შრანციის ორთქლის გემმა კანდიელების ცოლ-შვილი მაინც მოიყვანეს ღამე პირეიაში, პირველათ გამოსულნი კუნძულიდგან, რომელთაც სხვებიც უნდა მოჰყოლიყვნენ უკან. მე ეხლა არ შემიძლიან აგიხსნათ, რისგან წარმოსდგა ესრეთი სასწრაფო ცვლილება სერდარ-ეკრემისაგან და სერვერ—ეფენდისაგან ხმა მაღლათ გამოცხადებულს გადაწყვეტილობაში.“

სამხედრო სამინისტრო ეძებს შუამავლობას, რომ შემოდგომისთვის სამი ბანაკი გამართოს. ორი ბანაკი უნდა იყოს ხმელეთზედ და ერთი პელეპონეზში. თვითოეულს ამ ბანაკთაგანში უნდა იყოს 3,000-დგან 4,000 ამდინ კაცი, ყოველგვარ იარაღით აღჭურვილი. ავაზაკების თაბუნი თხუთმეტი ოსმალოში მცხოვრებნი ალბანელები, რომელნიც საბერძნეთს შემოესიენენ, ჩვენმა ეოლტიჟერებმა, კაპიტანი ტციროსის წინამძღოლობით, სრულებით მოსპეს. ექვსნი მათგანნი დაიხოცნენ და სხვები ტყვეთ არიან, თავისის წინამძღომლით—აბდულისით. კაპიტანმა ტციროსმა ეხლა პირველათ არ აცნობა ავაზაკებს თავი. რამდენიმე წლის წინათ იმან სრულებით მოსპო დაველესის თაბუნი, რომელიც ბიოტიის და ატიკას მცხოვრებლებს შიშის ზარს სცემდა. კორინფში, ახაიაში და აკარნანში ამ უკანასკნელ დროში დაიჭირეს რამდენიმე ცალცალკე გაცვივნული ავაზაკები; ატამან ფლერასსაც საბერძნეთის ხომალდში მოასწრეს და შეიპყრეს; ის მიდიოდა ხალიუსადგან ათინაში. ზანთეში საწყლები ქანდიიდგან გადმოსახლებულნი რომ მივიდნენ, იქაურმა მცხოვრებლებმა საჭიროთ იმათ ბინა, ტანთ საცმელი და საზრდო მისცეს. რამდენიმე ასი საწყალი კაცი ეხლა ჰპოვებენ ქალაქელების და სოფლელების ოჯახებში თვით გულითადს მასპინძლობას. სირაში და პირეიაში შეუწყვეტელათ იგზავნება ელლინის მმართებლობისაგან სხვა და სხვა გვარი საომარი იარაღი და საზრდო. საბერძნეთის საეჯრო ნავმა, სამხედრო სამინისტროსაგან ზენუაში ნაქირავებმა, 1,300 ლიტრა წვამალი მიიტანა, სადაც რიგი იყო.—

ჯარში აფიცრები მოუმატეს, რადგანაც ეხლა ჯარი გაბევრდა.—„არკადიონი“ გუშინ სირაში მოვიდა, რომელმაც ოცდა მესამე რეისი შეასრულა ქანდიაში. იმან დაუბრკოლებლათ მიიტანა სფაკიაში ორს ადგილს სხვა და სხვა თავისი ჩვეულებრივი ტვირთი და გაიყვანა უკანვე ქანდიაში დროებით მმართებლობის სამი წევრი, რომელნიც იყვნენ წამოსულნი საბერძნეთში საქმისათვის და ეხლა უკანვე დაბრუნდნენ, რადგანაც საქმე გაარიგეს. ამას გარდა „არკადიონმა“ მოახერხა კუნძულიდგან ასნახევარი მოხუცებულების, ქალების და ყმაწვილების გამოყვანა.—საცენტრო კომიტეტმა გამოაცხადა შემდგომი ქანდიის ამბავი, შესახებ ადგომის მუშაობისა ქანეას მაზრაში, 29 იელისს, და შესახებ ომისა დასაელეთის და აღმოსაელეთის, მაზრებში 26 რიცხვში: ომერ-ფაშამ არამც თუ ვერ შეიძლო სფაკიის დამორჩილება, არამედ თავისს უკანასკნელ ექსპედიციის დროს, ასრე დამარცხდა, რომ იძულებულ იყო სფაკიისათვის თავი დაენებებინა და სელინოს მაზრაში წასულიყო; მაჰმედ—ფაშა, რომელიც აგრეთვე იძულებულიყო ასკიფოსთვის თავი დაენებებინა, აპოკორონში წავიდა, მაშინ როდესაც რეთიმის და ირაკლიონის მაზრები სრულებით ინსურგენტების ხელშია.

უკანასკნელი ქანდიის ამბავი.

Journal des Debats-ში იწერებიან ათინადგან, 30-ს ივნისს, შემდგომს ამბავს: რუსის საომარი ხომალდის წინამძღვარი, უფ. ბუტაკოვი, თავისის მმართებლობის ბძანების ძალით, მივიდა ომერ-ფაშასთან და გამოუცხადა, რომ რუსეთის ფრეგატს ბძანება აქვსო საბერძნეთში გადიყვანოს ქალები და ყმაწვილები, რომელიც სფაკიის მთის გამოქვაბულებში იმალებიანო. ომერ-ფაშამ, რომელიც მაშინ ფენიკის ნავთ-სადგომში მყოფს ფრეგატში იყო, უპასუხა იმას, რომ კანდიელების ცოლ-შვილი ოსმალოს მთავრობას დამორჩილდნენო და თავ თავისს სახლებში წავიდნენო, გამოქვ ბულებში აღარ იმალებიანო. მაშინ უფ. ბუტაკოვმა სთხოვა იმას, რომ ნება მიეცეს, რასაც გზაზედ კანდიელების ცოლშვილს შეხვდეს კუნძულის კიდეებთან საბერძნეთში გაიყვანოს. ამაზე ერდარ—ეკრემმა ეს უთხრა, რომ დიდის ვიზირისაგან ალი-ფაშისაგან არაფერი ინსტრუქციები არ მიმიღიაო და ამისთვინ არ შემიძლიან რუსის ფრეგატს ნება მივსცეო, რომ იმან კანდიელების ცოლ-შვილი საბერძნეთში გაიყვანოს და ბოლოს ბუტაკოვს ესეც უთხრა, რომ თუ ის ქანდიის კიდეებს არ მოშორდება, ბლოკადის დარღვევათ ჩაითვლება, უფ. ბუტაკოვი გამობრუნდა ქანეაში, პირეიაში წასასვლელათ, რომ იქიდგან თავისს მმართებლობას ამბავი შეატყობინოს და ახალი ინსტრუქციები მიიღოს. იმან გზაზედ ნახა ოსმალების ომი კანდიელებთან არანის ღელეში; ოსმალებს ეჭირათ აღმოსაველეთის მხარე და კანდიელებს სფაკიის მაზრის დასაველეთი ნაწილი. ეგრეთვე შრანციის საომარი ხომალდის უფროსებმაც მიიღეს ბძანება თავისის მმართებლობისაგან კანდიელების ცოლ-შვილი გამოიყვანონ, მაგრამ ომერ-ფაშამ კუნძულის კიდეებზედ დააწყებინა ზარბაზნების სროლა და ამის გამო, რაც კიდეებთან კანდიელების ცოლ-შვილნი იყვნენ მთებში წავიდნენ, რადგანაც იმას არ უნდოდა რომ ისინი ვისმეს იქიდგან გაეყვანა. თუმცა რუსეთის, შრანციის, ანგლიის და იტალიის კონსულებმა ერთგვარი ტელეგრამმა გაუგზავნეს პორტას, რომ ქანდიაში კაცის კვლა მოისპოს, მაგრამ იქ კაცის კვლა მაინც კიდევ მუშაობს. 19 ივლისს კანდიელი ოსმალები დაეცნენ სოფლებს: ანგელიანოს, მეტეჩს და რუმელს (რეთიმის მაზრაში). იმათ დასწვეს ისინი. დახოცეს 25 მეტი დედაკაცი და ყმაწვილი. თუ ჩქარა ინსურგენტების რაზმი არ მიშველებოდათ, რასაკვირველია, უფრო დიდს ნავნებს იქმოდნენ. ქანეიაში ხმა გავარდა, ვითომ ოსმალები აპირობენ ყველა ქრისტიანები დახოცონ ქალაქის ახლო-მახლო. როდესაც ეს უცხო ქვეყნის კონსულებმა შეიტყეს, ენერგიული წარდგინება გაუგზავნეს სერვერ—ეფენდს, განსაკუთრებით შრანციის კონსულმა, უფ. ტრიკუმ—რომ პასუხი ბოლოს სერვერ-ეფენდმა მისცეს იმაზედ, რაც ეხლა მოხდეს.

დუნაის სამთავროები. დევნა ებრალებისა. ანგლიის პარლამენტში წარადგინეს კორრესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა ებრაელებზე აღმართულს დევნას დუნაის სამთავროებში. კორრესპონდენციაში არის საუბარი, რომელიც ჰქონდა 27 ივნისს პრინცს კარლოსსა ანგლიის კონსულთან უფ. სენ-კლერთან ქ. იასსაში. უ. სენ-კლერმა გამოუცხადა პრინცსა, რომ 24 ივნისს აქაურმა მცხოვრებლებმა ებრაელები ორასს კაცამდე მოჰკლესო და დაამახინჯესო; ანგლიის საელჩოში ებრაელები ოცდაათ კაცამდინ მოვიდნენ, რომელნიც ნაცემი იყვნენო. თვითონ ელჩმა თავისი თვალით ნახა, რომ ერთმა სალდათმა ერთს ებრაელს ქალს ხელში შტიკი ჰკრაო, იმისგამო რომ იმას უნდოდა თავისი ქმარი ცემისაგან დაეფარა. ეს იმსაღამოს მოხდა, როცა თვითონ პრინცი იასსას მოვიდა. პრინცი კარლოსი დაჰპირდა ელჩს, რომ ამ უწესოებას მალე მოესპობო და დამნაშავეებს სასტიკათ დასჯიო. 28 ივნისს კონსული იწერებოდა, რომ უწესოებაში გარეული აფიცრები დაიჭირეს და იმათ უკანონობა უნდა გადახდეთო. კონსულმა უთხრა პრინცს, ვაითუ თქვენს წასელის შემდეგ უწინდელი უკანონობა ისევ განახლდესო, რადგან ადგილობრივს მთავრობას შესაბამი ღონე არა აქვსო და ხალხი კი ჯერ ვერ შეჩვევია ევროპიდამ მოტანილს კონსტიტუციასო.

მეხიკა. 20 ივლისს იწერებიან ბრუნსვილდგან: ვინც იმპერატორის პრეფექტებათ იყვნენ მეხიკაში, ისინი 6 წლობით გარეკეს რესპუბლიკიდგან. იალაპის ეპისკოპოზი დაიჭირეს. იმას აბრალებენ, ვითამც იმას შემწეობა მიეცეს იმპერიისთვის. ამ მხარეში დაიწყეს იმპერიალისტების მამულების ჩამორთმევა და სახელმწიფოთ შერაცხვა. ბვარწმუნებენ, ვითომც უცხო ქვეყნელი პატიმრები ტიტულები ჩამოეტარებინოთ ქვერეტაროს ქუჩაზედ. იმპერატორის გამცემი ლოპეცი ოხაკის გუბერნატორმა დაიჭირა. ის მისცეს სამხედრო სამართალში სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის, რომლებიც ჩაიდინა იმან იმპერატორის ჯარში მსახურების დროს. ესკობედო გამოვიდა კანდიდატათ მეხიკის რესპუბლიკის პრეზიდენტობაზედ. იმან გამოაცხადა, რომ ყველა უცხო-ქვეყნელები, რომელნიც მეხიკაში იმყოფებიან, უნდა გაერეკო, ან მოვაკედინებინოთ. მეხიკის კორრესპონდენტი „მორნინგ-პოსტისა“ სხვათა შორის იწერება 28 ივლისიდგან, რომ მეხიკაში შიშობენო ხელ-ახლათ რევოლუცია არ მოხდესო; ჯერ კიდევ ძველი რევოლუციის დროს დანთხეული სისხლი არ გამშრალა, ახალი რევოლუცია აპირებს აგზნებას. კორრესპონდენტი ამბობს, რომ კლერიკალის (სასულიერო) პარტია ძრწის, როცა წარმოიდგენს თუ იმას რანაირი უბედურება მიელის; და მართლათაც ძრიელ საშიშარია თვითონ კლერიკალების მდგომარეობა. ხუარესი არ დაინდობს კლერიკალებს; და თუ მართლა უფლება ისევ იმას დარჩა ხელში, მანამ არ მოისვენებს, მინამ უკანასკნელს საეკლესიო დოლარს არ წაიღებს და არ განსდევნის მთელს ადგილობრივს სასულიერო წოდებას.

„შრანკო-ამერიკის მოამბეში“ სწერენ 8 ივლისიდგან: მეხიკის ჯარის წინამძღომლებმა თავის ხელში ჩაიგდეს უმთავრესი უფლება სატახტო ქალაქში და ელიან პრეზიდენტს ხუარესს. ისინი ძალიან ზომიერათ ხმარობენ თავიანთ უფლებას. ყოველგან სრული წესიერება არსებობს. ქუჩებზე სიჩუმე და მშვიდობიანობაა და აქამომდე არც ერთის უცხო ქვეყნელისათვის შეურაცხებაა მოუყენებიათ. მხოლოთ ერთი სადიპლომატო—კორპუსი აქამომდე სწუხს იმპერიის დაცემაზე. იტალიის, ავსტრიის და ბელგიის დესპანებს ჰსურთ მეხიკიდგან გამოსვლა შრანციის ელჩთან ერთათ. იმათ ყველას ძრიელ შესძულდათ ეს მეხიკა, რომელიც შეურაცხების მეტს არას მიაგებს იმათ. განსაკუთრებით ლიბერალები ყოველ დღე დასცინიან ხოლმე ტიტულებს და ორდენებსა. უწინდელი იმპერატორის მმართებლობის წევრები და სხვა იმპერიალისტები შეიპყრეს ანგლიის ელჩის სახლში, სადაც ისინი დაიმალნენ. მეხიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ რადგან ანგლიამ ხუარესის მთავრობა ნამდვილ მთავრობათ არ იცნაო, ამისთვის არც იმის ელჩსა აქვსო რაიმე დიპლომატიური მნიშვნელობა და ნებაც არა აქვს თავის მფარველობის ქვეშ ვინმე დაიცვასო. ძველი ლიბერალი გენერალი ვიდოარი რესპუბლიკელებს გადუდგა და იმპერატორის მაქსიმელიანეს მხარე დაიჭირა, როდესაც დაატყო, რომ რესპუბლიკელები საქმეს ვეღარ მოიგებენო. ის ამ ჟამათ ერთს ანგლიის მოქალაქეს სახლში შეიპყრეს. ის დანიშნულ ვადაზედ არ გამოცხადებულა ჯარების უმთავრესს ადგილსადგომში; ამის გამო ლიბერალურმა უფლებამ ყოველის განუსჯელობით დასაჯა ის სიკვდილით. ის დახვრიტეს სან-დომინგის მეიდანზედ, სადაც იმპერიალისტები დახვრეტდენ ხოლმე უწინ თავისს პატიმრებსა. პრეზიდენტმა ხუარესმა ბევჯითად განიზრახა აეზაკების მოსპობა, რომელნიც აქამომდე ცარცავდნენ ხალხს დიდს გზებზედ. რესპუბლიკის მთავრობა დიდის სიყვარულით ეპყრობა მეხიკაში მცხოვრებს ჩრდილოეთ-ამერიკის მოქალაქეებს. ბენერალმა დიაცმა უბძანა, რომ მთავრობის ხარჯზე გაასწოროონ ამერიკელების სასაფლაო, რომელიც ქალაქის აღების დროს ზარბაზნებმა დაანგრიეს. ვერაკრუცში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. 10 რიცხვს პრეზიდენტი ხუარესი იმყოფებოდა სატახტო ქალაქის გარეთ-უბანს ქაბუისს. თვითონ სატახტო ქალაქში დიდის ბრწყინვალებით აპირებენ მიგებებას.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ნუ-იორკი, 1 (13) აგვისტოს. მეხიკის რესპუბლიკის მმართებლობამ მისცა პრუსსიის ელჩს, ბარონ მალნუსს იმპერატორი მაქსიმელიანეს სხეული.

პარიჟი, 2 (14) აგვისტოს. საღამოს მონიტერი თავისს ყოველ კვირის პოლიტიკურს განხილვაში ლაპარაკობს სულთანის რუშჩუკში ყოფნაზედ და სხვათა შორის ამბობს: პორტას და დუნაის სამთავროს შორის ეხლა დამყარდა კავშირი მათის ურთიერთის ნდობით. რუმინიის მმართებლობა სწორეთ აღასრულებს თავისს ვალდებულებას, შესახებ უმაღლესის მთავრობისა—პორტისა.

ზალცბურგი, 7 (19) აგვისტოს. დღეს დილით ადრე ავსტრიის იმპერატორი შრანციოსები და იმპერატორი ნაპოლეონი შტატსკური ტანისამოსით დადიოდნენ ზალცბურგის ქუჩებში. შუადღის წინათ იმათ შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

გუშინ, ორივე იმპერატორების ხლებულნი როცა ერთი-ერთმანეთს გაეცნენ, იმპერატორმა ნაპოლეონმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ბარონს ბეისტსა ავსტრიის იმპერატორის მინისტრსა.

ბარონმა ბეისტმა ნახა იმპერატორი ნაპოლეონი და დიდიხანი დაჰყო იმასთან.

— 8 (20) აგვისტოს. ბვარწმუნებენ, ვითომც შრანციისა და ავსტრიის იმპერატორს მოლაპარაკება ჰქონდათო ახლანდელს საპოლიტიკო საქმეებზე. მაგრამ აქედგან შესაძლებელი არ არის, რომ გამოვიყვანოთ, ვითომც ეს მოლაპარაკება რაიმე გვარი მორიგებით გათავდაო.

პარიჟი, 7 (19) აგვისტოს. ბუშინ კეირას მონიტორში გამოსცეს იმპერატორის ნაპოლეონის წიგნი შინა-საქმის მინისტრთან ლავალეტთან. ამ წიგნით ნაპოლეონი ბრძანებს, რომ ათი წლის განმავლობაში გაკეთდესო სრული ბადე სასოფლო გზებისა. ამ გზების შესადგენათ უნდა მოიწვიონ სამუნიციპალო და დეპარტამენტების რჩევანი. სჯულის პროექტი ამ გზების ბადეზე შემდეგს სესიაში უნდა წარუდგინონ პალატას. ამ გზების ბადის გასაკეთებლად ჰფიქრობენ რვა ასი მილიონი ფრანკი დანიშნონ.

კონსტანტინოპოლი, 7 (19) აგვისტოს. ბუშინ ფუად-ფაშა კონსტანტინოპოლიდგან უკრიმს წავიდა, რომ პირის-პირ მიესალოცოს ხელმწიფე იმპერატორსა.

ვენა, 8 (20) აგვისტოს. ზალცბურგში რომ ხელმწიფეების ნახვა მოხდა, იმაზე დღეს გაზეთში Debatte აი რას სწერენ: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. რაც დღეს ამბავი მოგვეიდა პოლიტიკურს კრებაზედა, რომელნიც შეყარნენ ამ ჟამად ზალცბურგში, იმას რომ ვეთანხმოთ ხელმწიფეების ნახვას სრულებით მშვიდობიანური განზრახვა ჰქონდაო. ამ ჟამად მშვიდობიანობას ვერა შეარყევსრაო.

Ტფილისში მიღებული 13 აგვისტოს.

შუად-ფაშა და რუსეთის ელჩი გენერალი იგნატიევი დაბრუნდნენ კონსტანტინეპოლში. შუად—ფაშას მისცეს ალექსანდრე—ნევის ორდენი. „ვენის საღამოს ფოჩტა ამბობს, რომ ზალცბურგში ხელმწიფეებს ერთმანეთის ნახვის დროს არამცთუ ის მოლაპარაკება არა ჰქონიათ, რომ საქმე დაიჭირონ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ამის განზრახვაც წინათ არა ჰქონიათ.

მემკვიდრე ცესარევიჩი თავისის მეუღლით და ელლინების კაროლით მობრუნდებიან პეტერბურგს სექტემბრის პირველს რიცხვებში.

გორის უეზდიდამ.

წიგნი პირველი.

მე თუმცა ეხლა მოცალება არა მაქვს, მაგრამ ვაშურებ ამ წიგნების მოწერასა, მინამ გაჩნდებოდეს ლიტერატურის ხოლერა.

პირველი, რამაც ჩემი გონება მიიპყრა ამ ჩემს ქალაქს გარეთ ყოფნაში, იყო მეჭეკოი კომმისიების მოქმედება. საქართველოში ძვირათ მეგულებოდა უდაო კაცი, არამთუ კაცი და უდაო მამულიც ძვირათ იპოვებოდა. ამისგამო მინდოდა ერთი ჩემის თვალით მეყურებინა, როგორ იქცეოდნენ ჩვენი დავის მოყვარე მებატონენი ამ კომმისიებში, რომელნიც ძალიან მალე და ბევრის ულაპარაკოთ ათავებენ საქმესა. უნდა ვსთქვათ, რომ რამდენსაც შევხვედი მეჭეკოი კომმისიების მოქმედებასა, ძალიან ნათლათა სჯიდნენ საქმესა და ასე გაშინჯეთ თვით ჩვენი მებატონეებიც, რომელთაც საქმე წაუგიათ, ისინიც კი ვერას ამბობენ ამ კომმისიების ცუდსა. მე გ[illegible]ში მომეწია ერთი აზნაურშვილი, რომელსაც კარგა საკმაო მამულები წაეგო კომმისიაში. მე ვიცოდი ესა და განგებ გამოველაპარაკე, ამაზედ.—არა, ბატონო,—დამიწყო იმანა,—ჩვენი საქმე სულ მართალი საქმე გახლდათ, მაგრამ ჩვენ ჩვენი უთაურობითა და უცოდნელობით წავაგეთ, თორემ, მე და ჩემმა სულმა, რომ კომმისია კადეც გვარიგებდა: აი ასე და ასე მოიქეცითო... იქა, სწორე მოგახსენო, ქრთამი სულ არ გადის.

ამგვარი აზრი, სწორე მოგახსენო, საამური გასაგონი იყო ჩემთვისა, მეტადრე იმიტომ უფრო, რომ ამ კომმისიებში სულ ყმაწვილი კაცობაა. რასაკვირველია, რომ მაშინ ასეთი კარგი აზრი აღარ იქნებოდა კომმისიებზედა, რომ ძველი პოდიაჩები დანიშნულიყვნენ აქ სამსახურში: იმათ ვერც ბევრი ჯამაგირი, ვერც სისტემა, ვერც წესი ვერ მოაშლევინებს თავის ხელობასა, რომელშიაც ვარჯიშებულან იმავ სიყმაწვილითა.

მეორე ამ კომმისიებისა მოსაწონი ის არის, რომ ის მიდის და ალაგობრივე ასამართლებს საქმესა. ეს დიდი შემწეობაა ჩვენი საწყალი მამულების პატრონებისთვის, რომელთათვისაც ძალიან ძნელი იქნებოდა სადმე მოშორებით ქალაქ ადგილას სადაოთ სიარული. ჯერ პირველი ამითია იმისთვის ამ სიშორეთ სიარული ცუდი, რომ ის შინ სცდება საქმესა; მეორე მოსდის დიდი ხარჯი ქალაქს ადგილას; მერმეც ესა, რომ ათასი კლიაუზნიკები და პოდიაჩები აცდუნებენ ამათ ათასს საჩივარზედა, სტყუებენ ფულებსა და აკარგვინებენ უფრო მომეტებულათ დროსა და თან ნდობაც ეკარგებათ რიგიანათ გასამართლებაზედ, რაკი ათასი ცუდათ ჩამგონებელი ჰყავს. ეხლა თანა ბაზარ ადგილას და ქალაქი ადგილებში ხომ სათქმელი აღარ არის, ასობით და ათასობითა ტრიალებენ ამგვარი ქალაქის მჯღაბნავები,—აქეზებენ საწყალ გამოუცდელ ხალხსა, სტყუებენ ფულებსა, ათრევენ საჩივრებში და თითონ, სხვა საქმეზედ ხელაღებულები, სცხოვრებენ ამ ხელობითა, და ამ შემთხვევაში კი, რომ კომმისიები ალაგობრივე ასამართლებენ საქმესა, ველარ ემარჯვებათ ამგვარ მჯღაბნავებს ხალხის მოტყუება და როგორც ზემოთაცა ვთქვით, ჩვენი მამულის პატრონები ბევრს სხვა მოგებაშიაც არიან და თითონ კომმისიასაც არ აქვს ცუდი სახელი.

მე შევნიშნე, რომ კომმისიები ძალიან ერიდებოდნენ ფიცით საქმის გათავებასა. მე ფიცზედ მაღალის აზრისა ვიყავი. ვამბობდი ჩემს გონებაში, რომ ამისთანა ღვთის მოყვარე ხალხი, როგორც ჩვენი კაცი, როგორ არ უნდა იყვეს სანდო ფიცშია მეთქი. ამისგამო მიკვირდა, რომ კომმისიები, რომელთაც ასეთი კარგი სახელი აქვთ და მართლაცა იქ მოსამსახურენი არ არიან ცუდის მოსურნენი ხალხისა, ერიდებიან მეთქი ფიცსა. თურმე იმათ მიზეზათ ჰქონიათ ამისი. მე შევესწარ ერთ ორიოდე ფიცში და გამოაცა ჩვენმა ფიცმა. ერთ ალაგას თავის კანონების შესავალში ვახტანგ მეფე, როგორც მახსოვს, ცუდათ ლაპარაკობს ქართველების ფიცზედა და ეგონებ კიდეც ურჩევს მოსამართლესა, რომ ძნელათ ენდობოდეს. ამაზედ მე დავრწმუნდი ჩემის თვალითა.

არის ერთი სადაო ტყე, რომელიც არის სადაო ორს აზნაურებთაშორის. ერთი მოდავე მხარე არის ჩემი ნათესავი და მე ცხადათ ვიცოდი, რომ ამათ ამ სადაო ტყეში არა ვითარი მონაწილეობა არა ჰქონდათ. ამას თვითონაც არ მალაედნენ, თუ არ კომმისიის წინაშე. „წაეედავებით: თუ გამოეგლიჯეთ რამე, ხომ რა კარგია, თუ არა და რა ბევრი შტრაფი ჩვენ წაგვერთმეევაო.“ მოიყვანეს ორთავე მხრივ ძველი მოხუცებული კაცები, ცოლშვილით საესენი და როგორა გგონიათ? მომეტებულმა ნაწილმა უჩვენეს ჯვარსა და სახარების ქვეშ, რომ ამათ ეკუთვნისო, რომელთაც სრულებით არ ეკუთვნოდათ. (*) მაშინ გავამართლე მეფე ვახტანგის სიტყვებიცა და კომმისიაცა, რომელიც ასრე ერიდებოდა ფიცით საქმის გათავებასა. წააგო მართალმა მხარემ საქმე, რაკი საქმე ფიცზედ შევარდა; და ესეც მოუხდათ იმათ თავის უთაურობით. იმათ საფიცრათ საქმე არ გაუჭირდებოდათ, რომ ეთაენათ და ამ ტყის შესახებ სიგელები თავის დროზედ შემოწმებოდათ, მაგრამ რაკი შეუმოწმებლები იყვნენ აღარ ივარგეს საბუთათა. ვინ იცის იმათ ახვა მამულებსაც ეგ საქმე დაადგეთ, თუ მოწმები ისევ ისე სულს გადუდგნენ.

ამ მეჭეკოი კომმისიებსა, საცა არა მგონია, სულის ცხონებასავით მოელიან. სადაც არა მგონია ლამის ერთმანერთი ამოჟლიტონ, რაკი გარჩეული არა აქვთ სადაო ალაგები. მაგრამ, ვინ იცის, ზოგს ალაგას როდის მიახწევს კომმისიები! ისინი მალე შეასრულებდნენ თავის მოვალეობასა, და მალეც მიივიდნენ სუყველგან, მაგრამ უნდა იცოდეთ რამდენს დაევებსა შლიან, სადაც არა მგონია. რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამს კაცი, იმდენი სადაო ჩნდება და უნდა გაარჩიო საქმე. ამაში ერთი ანათ უგვიანდება კომმისიებსა. ზოგი იმისთანა ალაგებში აცხადებენ დავასა, სადაც არცკი იციან ვის ეკუთვნის ის ალაგი, რომელსაც დაობენ, ან სადა აქვს სადაო მამულს სამძღვრები.

— თქვენ ნუ მომიკვდებით, —ამბობდა ერთი გიჟმაჟი, მაგრამ მართლის მთქმელი თავადის შვილი ერთს თავის სახლიკაცზედა, რომელიც ყოველს ნაბიჯზედ დავას აცხადებდა და მასხარა სახელიც იმისთვის დაეაჩი დაერქმიათ,—მაგას თუ აჰყვა კომმისია, თითონ კომმისიას სერთუკებს წაედავება. მაგისმა მამამ იცოდა: მოსჭრიდა თავის ყანასა, მიიტანდა სხვის ყანასთანა, შეადარებდა და ეს ყანა ჩემს ყანასა ჰგავსო, მოსჭრიდა და წაილებდა შინა...

ამგვარი დავაჩები სუყოველს ნაბიჯზედ არ აკლია კომმისიებსა. ისინი ჰფიქრობენ ზემოთ მოყვანილი ჩემი ნათესავებივითა: თუ გამოვგლიჯეთ რამე, ხომ კარგია, თუ არა და ცომბირს ხომ არ დაგვკარგავენო.

აი ეს არის მიზეზი, რომ ამ ოთხი ჯვუთი წლის განმავლობაში ჩვენი კომმისიები ორმოც-სამოც ვერსს ვერ წაუვიდნენ, თორემ იმ ბეჯითს მოქმედებაში, როგორც ზოგიერთა კომმისიები ჰმოქმედებენ, იმათ თავისი საქმე აქამდინ ნახევარზედ მეტი გათავებული ექნებოდათ.

მე კარგა ხანსა ვსდიე კომმისიებსა და შემდეგ წავედი შინისკენ. მასაქეთ კარგა ხანია რაც დავდივარ აქეთ იქით სოფლებში. ჩემი პირველი საკითხავი იყო სასოფლო საქმეები. სოფელს ხოვლეს, სადაც აქებენ სასწავლებელსა, ვერ დაერჩი იმდენს ხანსა, რომ მენახა იქაური სასწავლებელი და დაწყობილება. სხვაგან, სადაც შემხვდა, აპირებენ სასწავლებელსა, მაგრამ როგორც მე ვატყობ, თუ ოსებ მამაცაშვილი, რომელმაც აშალა ამ სასწავლებლების დაფუძნების თავი, წამოვიდა აქედამ სხვა სამსახურში, ეს. სასწავლებლები ბევრს ალაგას ვერ გაიტანენ ბოლოსა. (?) რამდენნაირი მეცადინეობა და ოსტატური შინაგანობა არ მოიხმარა ამანა, რომ დაეთანხმებინა ჩვენი მებატონენი და გლეხნი სასოფლო სასწავლებლების დაფუძნებაზედ. მართალია, არიან ბევრი გონიერი მებატონენი, რომელნიც ცდილობენ გულით ამ საქმისთვის, მაგრამ ბევრნი ძალიან უკმაყოფილონი არიან ამ საქმისა.

— ჩვენ რალა გვერქმევა,—რომ გლეხ-კაცებმაც ისწავლონ?

ამბობენ ბევრი მებატონეთაგანნი, რომელთაც ვერ მოუნელებიათ ეს აზრი, რომ გლეხკაციც კაცია და ამათის სწავლითი, თუ არ შეემატებათ, არ დააკლდებათ რა. იქამდინ აქვთ ეს ქიშპი ზოგიერთა მებატონეებს გლეხკაცისა, რომ დაუყრიათ ხმა, ვითომც ვინც გლეხკაცი თავის შვილს ასწავლის, იმათ შვილს სალდათათ წაიყვანენო. ბევრგან კიდეც შეუშინებია ამ ხმას გლეხნი და უკან დაუყენებია ამ საქმეზედ; თავათ ისევ უჭირთ გლეხკაცებს შვილების მიცემა სწავლაში, რომ შინ საქმეს მოგვიტდებაო და ამისთანა ხმით უფრო გულს აცრუებინებენ.

პირველი სასოფლო სასწავლებლების დაწესება საქართველოში აშალა ბორის უეზდმა. ინიციატივა ეკუთვნის ბორის უეზდსა; მაგრამ არა მგონია ამ სასწავლებლებზედ კრინტი გაძრულიყო, თუ არ დანიშნულიყო ამ უეზდში საბატონო საქმეებზედ იოსებ მამაცაშვილი. (?)ამას, რაკი ჰქონდა შემთხვევა, გლეხკაცებთან და მებატონეებთან, ისარგებლა ამ შემთხვევითა და გამოაბა ამ საქმეს თავი, კიდევაც ის არის ამ საქმის მთაოსნებელი და წინ წამყენებელი. სასურველია, რომ, მინამ მკვიდრათ არ დაფუძნდება ეს საქმე, მინამ არ მოშორდეს ის ბორის უეზდს და იმ თანამდებობას, რომელშიაც ეხლაა.

იმ სოფელში, რომელშიაც ეხლა მე ვიმყოფები, არის გაკეთებული სასწავლებელი, მაგრამ დასრულებული არ არის. აქაური მამასახლისი ძეირი მამასახლისი უნდა იყვეს. მე კი ჯერ უკეთესი არ შემხვედრია. წერა-კითხვა კარგათ იცის. „დროებასა“ კითხულობს. პოლიტიკა უყვარს. ეს არის უბედურება, რომ არა აქვს შეძლება, რომ გამოიწეროს ყველა წიგნები და „დროება“. რაკი ყოველთვის ვერა შოვობს „დროებასა“ და არა აქვს შემთხვევა, რომ ყოველი ახალი ამბავი გაიგოს პოლიტიკაში, იმას ერთხელ შემთხვევია აქ ერთი დიამბეგი, რომლისათვისაც უკითხავს კანდიელებისა და ოსმერფაშის ამბავი, რომ ეხლა რა მდგომარეობაში არიან ესენიო. დიამბეგს არცკი გაეგონა ქანდია არის სადმე, თუ არა და დაეწყო ჯავრობა ამისთვის: „რა მე ოსმერფაშება, რა მეკანდიება,—მე აქ გაცხარებული საქმე მაქვსო!“

მე ამ მამასახლისს ველაპარაკე ამ სასოფლო საქმეებზედ. მე ყველა იმისი პასუხი მომეწონა, თუ შეიძლო იმან ამისი შესრულება. ზამთარში თითქმის ყველა პატარა ბიჭი მოცლილია და შეუძლიანთ სწავლაო, მხოლოთ ზაფხულიაო საქმე, რომ ყველა პატარა ბიჭი მწყემსიაო. ამისას ესე ამბობს ესა, რომ აპირებს ათი თხუთმეტი კომლი კაცის სამწყემსო ჩააბაროს ერთს, ან ორს ბიჭსა და სხვებმა იარონ სწავლაში. ეს მწყემსები უნდა გამოიცვლებოდნენ ყოველ დღე, ან დღე გამოშვებითა. ამ გვარათ ზამთარ-ზაფხულ შეეძლებათ სწავლა ყველა ბიჭებსა. ესევე მამასახლისი აპირებს პურის მაღაზიის გამართვასა ამ რიგათ, რომ ყოველს კალოზედ შემომტანებს უბრყუნდებოდეთ ის პური, რაც შეუტანიათ და ამის მაგიერათ უნდა შეჰქონდეთ ახალი პური, რომ ძველი არ წახდეს მაღაზიაში. ჩვენ დიდს ხანსა გვქონდა ლაპარაკი სასოფლო ბანკზედა. უველაზედ უფრო გასაჭირი ეს არის. ხიდისთავის ბანკის დაწყობილობა არც ამასა და არც მე ჭკუაში არ მოგვდის. ამგვარს ბანკს არ მოაქვს საწყალი კაცისთვის ის სარგებლობა, რაც მოსალოდნია სასოფლო ბანკისგან: აქაც სარგებელში ისევ შემძლებელი კაცია. ჯერ ჩვენ ამის შესახებ ვერა გადავწყვიტეთ რა. მე აღუთქვი, რომ შევკრიბო ამ გვარს ბანკებზედ ცნობაები და ვაცნო ამასაცა, რომ რომელიც უფრო სასარგებლო და მოსახერხებელი იყვეს, იმ აზრზედ დავდგეთ.

ჩვენი ლიტერატურა ისე ჩუმათ არის ამ გვარს საქმეებზედ, რომ თითქო იმას არ შეეხებოდეს ამ საქმეების მდგომარეობაო. ახლა იმ მდგომარეობაშია ჩვენი სასოფლო საზოგადოებაებანი, რომ იმას უნდა ხელის მძღვანელი, რათგან ის მდგომარეობა, რომელშიაც ის ეხლა ჩავარდა, იმისთვის სულ ახალია. ლიტერატურას შეეძლო ედეენებინა ყური სხვა საზოგადოებაების მოძრაობისთვის, შეესწავლა იმათი მოქმედება და ამ ჟამათ გამხდარიყო ხელისმძღვანელი ჩვენი ახალი საზოგადოებაებისა. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს, როდესაც შეგვხედება ამ გვარს აზრზედ და-

---

(*) ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ჩვენს პატივცემულს კორრესპონდენტს მოწმების კითხვის შესახებ საქართველოში; მაგრამ ამ ფაქტზე უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა. მეჭეკოი კომმისიას არა აქვს უფლება, ჰკითხოს მოწმებს რაიმე სადაო მამულის კუთვნილებაზე, თუ არ მფლობელობაზე. ამ შემთხვევაშიაც, თუ ავტორი იმ ფაქტზე ლაპარაკობს, როგორც ნამდვილათ ვიცით, კამმისიამ ჰკითხა მოწმებს ტყის მფლობელობაზე. მეორეთმეტმა კაცმა ერთნაირათ სთქვეს, რომ ორივე მოდავე მხარე ხმარობდაო სუყოველთვის ამ ტყესაო. ეს ფაქტი, ვგონებთ, იქიდგან გამოვიდა, რომ, უველამ ვიცით, სულ 8—9 წელიწადი იქნება, რაც საქართველოში ტყეებს ფასი დაედვათ უმეტესათ საწვავ ტყეებს და პატრონებმაც ბეჯითათ დაუწყეს პატრონობა იმათა. იმის წინათ, უველამ ვიცით, ტყის ხმარებას მეზობელი მეზობელს არ უშლიდა. ამიტომაც, ვგონებთ, მოწმებმაც იმ ფაქტის თანხმობით უჩვენეს კამმისიას, რომ ორივე მოდავე მხარე „ხმარობდაო. ამასთან მოვიგონოთ მეფე ვახტანგის კანონი, სადაც ის ამბობს, რომ: „ჰავა, წყალი და ტყე არავის დაეშლება სახმარათო.“

რედ.

ტაკება, როგორც სასოფლო ბანკი, რიგიანი ვერა გვიფიქრია რა. დღეს, როდესაც შესდგა სათავად-აზნაურო ბანკი და ამის შემდგენი ითხოვდა კრიტიკასა და შენიშვნასა, ჩვენი ლიტერატურა პირღია დარჩა ამ ბანკის შესახები და ვერც ავისა და ვერც კარგის თქმა ვერ გაბედა ამ მოკლე პროექტებზედა. ჩვენ ისე გაუშვით, რომ იმისი დაბეჭდვა თითქო არც კი გაგვიგიაო და პეტერბურგის ლიტერატურულს ორღანებს კი არ დარჩა შეუნიშნავათ ეს ბანკი და ერთმა სანდო გაზეთთაგანმა „პეტერბურგის ვედომოსტებმა“ წარმოსთქვეს ამ პროექტის თანაგრძნობა. ჩვენ ვართ მიზეზნი ამ გვარის ყურადღებობისა, თუ ლიტერატურის ხოლერა, არ ვიცი; მაგრამ ვგონებ, რომ ზოგში ჩვენც ვიყვნეთ დამნაშავე. ჩვენ სულ წრიპინს უნდებით და საქმე, რომელიც თხოულობს გამოკვლევას და ჩვენს ხელის მძღვანელობასა, გვეპარება თვალ წინა და ხელში გვრჩება ჩვენ მარტო ოცნების ბურტყლები. . . . . .

. . . . . .

თუ ვინიცობაა მოხერხდა ეს სასოფლო ბანკი, ჩვენ სოფელთან, როგორც მითხრა მამასახლისმა, აპირებენ მოდგომასა რამდენიმე გარეშე სოფლებიცა. თუ ახსნა ამ ჩვენმა მამასახლისმა ეს ზორდის ნასკული, თუ როგორ და რა წესით დაფუძნდეს სასოფლო ბანკი, იმედია, რომ ეს მოიყვანს ამ აზრს აღსრულებაში.

ძარგი იქნებოდა, რომ ყველგან ასეთი მარჯვე და შემგონი მამასახლისები აერჩიათ. რომ ყველა სოფელი ცდილა კარგი მამასახლისების არჩევასა ამას ის ამტკიცებს, რომ აქ არა ჰქონიათ გარჩევა სარწმუნოებაში, როგორც არის თვით უგანათლებულესს ქვეყნებში. წარმოიდგინეთ თქვენა, რომ სამ-ოთხს სოფელში, სადაც ერთი ათათ მეტი ქართველობა დგანან, ამოურჩევიათ ურიები; მრავალგან, სადაც ქართველები ბევრი მდგარან, ამოურჩევიათ სომხები და სადაც სომხები მეტი მდგარან, ამოურჩევიათ ქართველები (*). ურიებისა ყველგან ძალიან მადლიერები არიან. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ სოფლის ხალხს კარგათ უცვნია ის უფლება, რომელიც იმას მიენიჭა ამ მამასახლისებით და ნდობით, რომ თავის მოთაეთ დაეყენებინათ რიგიანი კაცები. მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ შეცდომილება ამათაც მოუვიდოდათ და ბევრს სოფელს არ შეჰხვედრია ისეთი მამასახლისი, როგორიც იმათთვის საჭირო ყოფილა. ერთს ჩვენს მახლობელს სოფელში აურჩევიათ მამასახლისათ ერთი ისეთი კაცი, რომელიც სამართალს თითო ნახევართუნგს არაყზედა სჭრის; სოფელს თურმე ყმასავით იმსახურებს. ამას წინათ მე შემხვდა გავლა ერთი სამკალისაგენ, სადაც იდგა მთელი მამითადი. მე მეგონა უთუოთ ვისიმე თავადიშვილისა უნდა იყვეს მეთქი. ის კი არა თუ მითხრეს, რომ ამა და ამ სოფლის მამასახლისისაო. მე მიამბეს, რომ ეს მამასახლისი შეჰყრის მუშასა მკაში, ბარეაში და სხვა სამუშაოში მთელს სოფელსა და აკეთებინებს, როგორც თავის საქმეს, ეგრეთვე თავის ნათესავებისა და სახლიკაცების საქმეს. სხვა თურმე სოფლის სასარგებლო იმას გულში არა უდევს რა. თითონ ეს მამასახლისი თუ არ ცხენით, ქვეითი სიარულს აღარა კადრულობს, დადის ყოფაღონის წაღებითა და დიდკაცურათ ელაპარაკება ყველასა. რასაკვირველია, სოფელი ამ გვარი მამასახლისებისა არ არიან კმაყოფილნი და პირველსავე შემთხვევაში დასცვლიან ამათა. იმედიც არის, რომ თან და თან რაკი შეეჩვევიან სოფლები თავის ახალს მდგომარეობას, იმდენი უფრო და უფრო იცნობენ თავსა და უფრო შეიძლებენ თავის საქმის კარგათ წაყვანასა და მოხელეების ამორჩევასა.

წიგნი მეორე.

ამას წინათ ყოველად უსამღვდელოესი ეგზარხი მოვიდა ამ ჩვენს მოუხვედრელს სოფლებშიაცა. ამბობენ ეს შემთხვევა პირველია, რომ აქეთ მხარეს ეგზარხოსებს სოფლებში ევლოსო. უნდა გენახათ რა წიოკობა და თავში ცემა შეუდგათ ჩვენ თავშეუდებელს მღვდლებსა, სწორეთ საცოდაობის ლუღი იდგა. უველა ჰხედავდა, რომ წმინდა სინიდისი არა ჰქონდათ და წინათვე მოსთქვამდნენ თავის ბედსა. მართლაცა და ეგზარხოსმა მალე შენიშნა ყველა მღვდლებს იმათი დანაშაულები, არც ერთი მღვდელი არ დაუხვდა წესიერათა. ზოგმა არც კი იცოდა რა ლოცვები უნდა ეთქვა ამ სადღესასწაულო შემთხვევაში, ყოველად უსამღვდელოესი გამოჰყვანდათ ამათ თავისის უშვეროპით მოთმინებიდამა.

ამ ეგზარხოსის მოგზაურებაში მიიწვია ის ერთმა ჩვენმა მეზობელმა მებატონემ. ეს მებატონე იყო ჩემი დიდი ხნის ნაცნობი. მე ადრევე გამეგონა, რომ ის ძალიან კარგათა მართავდა თავის მამულებსა, დიდი ხანია ვაპირებდი მე ამის წვევასა, დაველიდე, ღონისძიებით ვერ ვახერხებდი. ამ ეგზარხოსის მიწვევაზედ მეც მივეწვივე იმას და წავედი იმ პიროპით, რომ რასაც დრო მომცემდა, გამეშინჯა ამისი ხელოსნობა. მე ამ მებატონისა პირველი ის მომეწონა, რომ იმას თავისი მოურავი ნემეცი მიუყენებია ყველაფერს წილში, რაცკი შემოვა იმის მამულიდამა. აქედამ ამ მოურავმა უნდა მიიღოს ყველაფრის მეათედი ეს ნემეცი, როგორც ეტყობა, გამოცდილია ყველა ევროპიულს სახელოსნო საქმეში და საქმეც ძალიან თავიანათ უჭირავს ცოტა ფიცხი კაცია, მაგრამ სიბრალულიც მუშა კაცისა აქვს. საკვირველათ მადრიელნიც არიან იქაური გლეხნი ამ ნემეცისა, თუმცა პირველს შემთხვევაში ყველა ჩამოსცილდა და ვერ გაეძლოთ ამისთვის.

ამ მებატონე ივანე სულხანიშვილს აქვს ბევრი მაშინები მაგალითათ სათიბი მაშინა, და მგონი კიდევ სხვა რაღაებიცა. მაგრამ ყველაზედ მე უფრო მინდოდა მენახა მუშაობა რანსომის გუთნისა, რომელიც ამასა აქვს გამართული მინდორში სამუშაოთა და რომელსაც თვითონ გლეხკაცებიც კი აქებდნენ. როდესაც ეგზარხოსი გავისტუმრეთ, მე ვსთხოვე, რომ იმას ეჩვენებინა მუშაობაში ის გუთანი, და ვპოვე, რომ იმას ჩვენი მიწისთვის არა გუთანი არ შეედრება. ერთხანათ იყო ბევრი ლაპარაკი ჩვენში შუმანის გუთანზედა და დღეს, ვინც გამოიწერა ის გუთანი, ყველას ისევ ისე უგდია. აქებდნენ დომბალის გუთანსა და არვიცი, იმანაც ივარგა თუ არა. მაგრამ ეს რანსომის გუთანი კი სწორეთ კარგი რამ არის ჩვენი მიწისათვის და სარფა ხომ სათქმელი არ არის. ამას ოთხუღელი ხარკამბეჩი სულ თავსა სდის. რადგან ამ გუთნის მოქმედება და ღირსება იყო „დროებაში“ თვით სულხანიშვილისაგან აწერილი, ამისგამო მე აღარა ვრაცხ საჭიროთ იმის გამეორებასა და ვისაც ჰსურს გაგება, შეუძლიან წაიკითხოს ეს „დროების“ № 28—ში, მე მხოლოდ შემიძლიან შევამოწმო, რომ სულხანიშვილის განცხადებაში არაფერი მომატებული არა არის რა ამ გუთნის ღირსებაზედ. რომ ეს გუთანი კარგი არის, ამას ამტკიცებს ისეცა, რომ ყველა გლეხნი, ვისაც კი უნახავთ ეს გუთანი აღტაცებაში არიან. ერთმა შემძლებელმა გლეხმა კიდეც გამოართო უფ. სულხანიშვილს ადრესი, სადაც შეუძლიან, რომ ისყიდოს ის გუთანი, მეორე დამტკიცება ისა, რომ წრეულს აქეთ მხარეს არსად იყო პურის მოსავალი და ამ გუთნის მოხნულს მიწებში პური ზღვათ გახეთქილა. ბევრს გლეხებს თურმე უნდათ ამ გუთნის შეძინება, მაგრამ სიძვირისგამო ღონესვერა ხდებიან. აპირებენ, ვგონებ, საერთოთ რამდენიმე კომლი ყიდვასა და საერთოთ ხმარებასა. ეს აზრი მე ძალიან მომეწონა. არცარაფერი იმისთანა მოსაშლელი აქვს ამ გუთანსა, რომ თითონ სოფლის მჭედელმა არ გაუმართოს. სახნისი შეუძლიანთ რამდენიმე იყიდონ ერთათ ქალაქში, სადაც ეს გუთნები ისყიდება იმისთანა და საკვეთელს აქაური მჭედლებიც ადვილათ გააკეთებენ.

რადგან მე მოვეჩქარებოდი, ამისგამო ვერ მოვასწარ სხვა მაშინების ნახვა. მე მხოლოდ ვნახე აქ ერთი ხარი,—კი არ ვიცი საიდამ არის მოყვანილი ის ხარი; ამ ხარსა აქვს ასეთი მაღალი ქედი, როგორც გენახოთ ცალკუზიანი აქლემი. ამბობენ უღელში ძალიან იწევსო. ამასა ჰყავს ამისი ცალი ძროხაცა აპირებს, რომ ამათი ჯიშის საქონელი გაიჩინოს მაინც, როგორც მე შევატყე, ეს ძალიან მეცადინე უნდა იყვეს. მებატონეებში მე არავინ მეგულება აქეთ მხარეს ასეთი მეცადინე მამულების და სახლპატრონების გაუმჯობესობისთვის.

უფ. სულხანიშვილიდამ რომ წამოვედი, დამხვდა ჩვენსკენ ის ახალი ამბავი. ერთი ისა, რომ დაეჭირათ ერთი ჩვენებური კაცი, რომელიც ვითომც ამბობდეს, რომ ქრისტე ვარო და მეორე, რომ ზეციდამ რაღაცა წიგნი ჩამოვარდნილა. ეს მეოთხე წიგნია თურმე, რაც ზეციდამა ცვივა. პირველ წიგნებს ძალიან აგელოზები დაეფთხო აქაური ხალხისათვის და მერე და მერე შეჩვეოდნენ. თუმცა ეს წიგნებიც ბევრსა სჯერა, რომ სწორეთ ზეციდამ არიან, მაგრამ, რაკი კაცი ჭირს შეეჩვევა, საშიშარი აღარ არის. მე მინდოდა ეს წიგნები ჩამეგდო ხელში, მაგრამ ვერა ღონისძიებით ვერ მოვახერხე ესა. ამის მიზეზი ვგონებ ეს უნდა იყვეს, რომ ეშინოდათ ჩემი გაკიცხვისა. ამ წიგნების აზრი მიამბეს. პირველს წიგნში თურმე იყო, რომ თქვენის უსჯულოებისთვის, რომ მარხვას აღარ ინახავთ, ნათლიდედებს აღარ ენდობით, ნათესაობას აღარ იცავთ და სხ. ამგვარი ცოდოებისთვის გამოვგზავნი მხეცსა, რომელსა აქვნდეს პირი ვეშაპისა, ტანი ლომისა, კბილნი ტარტაროზისა, კუდი გველისა, თვალნი ცეცხლისა, სუნთქვა კომლისა, სუნი მძოერისა და შთანვანთქმენებ ყოველსა ქრისტიანესა, რომელი არა დაიცავს რჯულსა ჩემსა“ და სხ. შკანასკნელს წიგნში სხვათა შორის ყოფილა, რომ: „შთავაგდებ სიღრმესა ჯოჯოხეთისასა, ვინცა მოჰპარავს ხანულსა—სახანულოსა და წარუმატებს ჭდესა საჯეროსასა; რომელი იხელმრუდებს სარჩოსა მეზობლისასა“ და სხ. ვისი მოქმედება და ოსტატობა უნდა იყვეს ეს ზეციური წიგნები არ ვიცი! მაგრამ შემდგომ ამისა, რომ ზოგიერთა ჩვენს პოეტებს ესმით ზეციური ხმები, უნდა ესეც დავიჯეროთ, რომ არიან ციურნი წიგნებიცა.

რაც შეეხება იმ კაცსა, რომელიც ვითომა ჰქადაგობდეს, რომ ქრისტე იყვეს, იმ კაცზედ მე თავის დროზედ დაწერილებით ვილაპარაკებ. ეს კაცი არის ყოველის თავის მოქმედებით შესანიშნავი; ამ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ხალხს არ მოსდგომია ისეთი სიკეთე. როგორც ბატონყმობის გადაგდება, მაგრამ ამ კაცს კი ველარა უშველარა ამანა, ამას რომ ჰქონოდა ნება ბატონიდამ თავის დაღწევისა, ეს სადაც იქნებოდა სასწაულებელში მიეგდებოდა და, როგორც იქნებოდა, შეიძლებდა მიეცა გზა თავისი ჭკუის ძლიერებისა, ცნობის მოყვარებისა და ლტოლვილებისთვის. მაგრამ ბატონების შეკრულობამ ის დაატყევეა თავისს მიყრუებულს სოფელში, სადაც იმას არა ჰქონდა არავითარი სულის მოძრთევა, რომ თავის ჭკუის მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. ჯერ წერა კითხვაც ამან ისწავლა შემდეგის სახით: დედაჩემს ებარა გლეხის გოგოები შეგირდათ, რომელთაც ძველებურათ ასწავლიდა ხარის ბეჭზედ წერასა და აწერინებდა ინდაურის ძვლების კალმებითა, როდესაც ამ გოგოებს შინ მიჰქონდათ თურმე ბევები საწერათა, ეს პატარა ბავშვი ჩუმათ აღევნებდა ყურს იმათს წერასა და კითხვასა, შემდეგ, როცა მოიხელებდა იმათს საკითხავებსა და საწერებსა, ჩუმათ, რომ არ გამიგონ, ან არ დამცინონ, ან არ გამიჯავრდნენო, ცდილობდა წერასა, და კითხვასა და ამ წვალებით გაიმართა წერა კითხვაში. შემდეგ ის არ დააკმაყოფილა ამანა და მოინდომა წიგნების კითხვა. იმან მიმართა დედაჩემს, რომელსაც დავითნისა, დაუჯდომელისა, დაბადებისა, სახარებისა და სამოციქულის მეტი არა წიგნები არა ჰქონოდა. ამან დაიწყო კითხვა ამაებისა. იმან ეს წიგნები თითქმის სულ ზეპირათ გაიკვეთა, მაგრამ ამ წიგნებმა ვერ შეიჯერიეს ამისი ცნობის მოყვარება ის ერთხანათ უცებ გაჰქრა ჩვენი სოფლიდამ და არა ვინ იცის სად გაჰქრა და სად არა. გავიდა ერთი წელიწადი, რომ ის დაჭერილი საიდამღაც სამძღვრიდამ დაებრუნებინათ. ის, რაკი მარტო, იერუსალიმს იცნობდა იმ წიგნებიდამ, რომელიც შეხვდა საკითხავათ, სიბრძნის დასაწყისი და დასასრული იერუსალიმი ჰგონებოდა, და გასწია იერუსალიმისკენ. მაგრამ გზიდამ უკან დააბრუნეს. შემდეგ გამოუშვეს თავდებობით. დაბრუნდა თუ არა შინა, იმან გამოსცა პროკლამაციასავით წიგნი, სადაც ეწინააღმდეგებოდა ბატონების უსამართლოობასა და ამტკიცებდა, რომ ბატონყმობა არის წინააღმდეგი ქრისტიანობისა და ყოველი კაცის გრძნობისა. ამისგულისთვის ის ჩასვეს საგიჟეთსა, მაგრამ განსვენებულს ვასილ ბებუთოვს შეენიშნა ეს საგიჟეთში, ჩამოერთმევინა სულწასული, რომ ამგვარს აღარას დასწერს და გამოეშვებინებინა. გამოვიდა თუ არა, მოკლეს ხანებში ატყდა ყირიმის კომპანია. ამან კიდევ გამოსცა ამგვარიევე პროკლამაცია, მხოლოდ უფრო ვრცლათა, ამაში ის საშინლათ ეწინააღდეგებოდა ამოდენა სისხლის ღვრასა და ამტკიცებდა, რომ არავის არა აქვს ნება თავის თავის მოყვარებისა და დიდებისთვის ამოდენა ხალხის ხოცვისა და ქვეყნის საცოდაობის ყველა მოხელენი არიან დაწესებულნი ხალხისთვის და იმის ბედნიერებისთვის და არა ხალხი იმათის თავის მოყვარეობისთვის, ამაების წერამ როგორც ჩაუარა ამას, რადგან ყველანი დავიწყეთ ხალხის მეტი, გიჟათა რაცხავდნენ. შემდეგ გამოსცა მესამე პროკლამაცია, სადაც აცხადებდა ჩვენი ცრუმორწმუნეობაების წინააღმდეგებსა და ამტკიცებდა, რომ ჩვენი წესდებულებანი საერო, თუ საეკლესიო ეწინააღმდეგებიან ქრისტეს სწავლასაო. ის აქ არღეევდა თითქმის ყველა ჩვენს ჩვეულებას და ჩვენი ხალხის აზრსაც; ამან კი არ ჩაუარა ამას მუქთათა. ეს არ მისცეს სამართალს ხელში და მღვდლებმა და ბლაღოჩინებმა თვითონ გაასამართლეს ესა. ამისთანა თავისმოყვარე კაცი დააწვინეს საქვეყნოთ და ტიტველა ტანზედ როზგით სულ სისხლი ადინეს, აქ გამოიჩინა ამან საყვარელი მოთმინება და სულგრძელება. იმან აიტანა ესე ყოველივე და ამ ცემაში მაინც თავის სიტყვებს ამტკიცებდა, თუმცა ჰპირდებოდნენ თუ გადასთქვამ გაპატიებთო.

ის შემდეგ კიდევ დაიკარგა აქედამ და არავინ იცოდა სად იყო. შემდგომ, როცა მე ქალაქში მომიხდა სამსახურში შესვლა, მე შემხვდა ის რამდენჯერმე. მე ის მერიდებოდა, როგორც აზნაურსა, რომელიც უეჭველია ამისი მტერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ცოტათი გონება მოეხსნა, მაშინ წარმომიდგა ყოველივე იმისი ქადაგებანი და მოვისურვე ამისი გაცნობა და დაახლოება ეს მე მალე მოვახერხე, რაკი დამატყო იმანა, რომ მე გულ-წრფელათ ვეპყრობოდი, ის გამეცნო მე სულითა და გულითა. აქ ჩემწინ იმან ცრემლით აღიარა ყოველივე თვისი გულისპასუხი და ეტყობოდა, რომ სიამოვნებით გულიუდუღდა, რომ ძლივს იპოვა კაცი, რომელიც ყურს უგდებს ამასა და აძლევს შემთხვევასა, რომ წარმოათქმეინოს ისა, რაცა ამდენი ხანია ტრიალებს და სდუღს ამის გულში, სხვათა შორის გამოაცა აქ მე იმ შემთხვევამა, რომ იმას ყური ედევნებინა ვარსკვლავთ მოძრაობისთვის.

— მთვარიანს ღამეში გამოვიდოდი,—მეუბნებოდა ისა,—და მთელი ღამე ვადევნებდი თვალს გონება ჩაკვირებითა ვარკვლავთა და ისეთ ნაირი მძიმე აზრები მომდიოდნენ თავში, რომ შორიდამ, რომ ჭოტი დაიძახებდა, ეს ჭოტის ხმაც კი ელდასავით მაწუხებდა.

ამას ამ ვარსკვლავების ყურისგდებაში და ფიქრში შესელოდა თავში აზრი, რომ მზეს კი არ უნდა ევლოს დედამიწის გარშემო; არამედ დედამიწას უნდა ეტრიალოს მზეს წინაშე და სხვა და სხვა მხარე უნდა მიეშვიროს მზისათვის. მაგრამ, ბოლოს კი ეს აზრი შემერყა, რადგან, ერთი ვარკვლავი, შენიშნე, რომელიც ყოველ დროს და სუყოველთვის ერთს ალაგასა დგას და ერთი ალაგიდამ დაჰყურებს დედამიწასა, თუ დედამიწა ბრუნავდეს მეთქი, ვფიქრობდი მე, ხომ ეს ვარსკვლავიც სხვებივით უნდა ხან დამალულიყო და ხან გამოჩენილიყო.“

ამგვარი გონების კაცს ჩაუვარდა ხელში მარტო სამღრთო წერილის წიგნები და სხვა წიგნები, რომელსაც შეეჯერებინა იმისი ჭკუა და ცნობის მოყვარება, ქართულში ამგვარი წიგნები არსად მოიპოვებოდა და სხვა, ქართულს გარდა, იმან არა იცოდა გასაკვირველიც არ არის, რომ რაკი იმის გონება ვერ ჩავარდა იმ კვალში, რომელსაც მცირეც არის აეხსნა იმისთვის იმის ლტოლვილება, ის შეირყა და ახლა პატრონს ათქმევინებს იმასა, რასაც ამბობენ.

ის გორში თურმე დიდი ხანია იმყოფება და ახლა ამ თავისი სიტყვებისთვის დაუჭერიათ. შინ მინამ იყო ეს კაცი, მინამ ვერავინა ნახავდა ამას უქმათა. არა საქმე ამისთვის გასაჭირი არ იყო. იმან ერთს წამს ისწავლა ფიქრობა და იმისი სახლობა იყო ამისდროს პირველი გაკეთებული ამ სოფელში.

დღეს ამ გონების კაცი, იმის მოწყალეობითა, რომ იყო მონა და ყმა სხვისა, დარჩა უსწავლელათა და ამ უსწავლელობამ ჩაგდო ეს იმ მდგომარეობაში, რომ დღეს საგიჟეთს არ ასცდება...

ახლა კი დროა გავათაო ეს კორესპოდენცია, თორემ ცხენები მელიან გარეთა მე გავეჩქარები ერთს დღეობაში, იქნება კიდევ გამოვგზავნო ერთი კორესპოდენცია.

5 მარიამობისთვეს. ა. ფ.

(*) არა გვანებულა აქ სოფლური ამორჩევაები ქალაქის ამორჩევაებსა, სადაც თურმე გაიძახოდნენ: არა, ეგ ფრანგია—არ გვინდა, ეგ ქართველია არ გვინდა! და უველა იმას კი არა ცდილობდა, რომ რიგიანი კაცები ამოერჩიათ, იმასა ცდილობდნენ, რომ თავისი რჯულის კაცები ჰყოლოდათ. აქედამ ცხადათ სჩანს სადამდინაც ნაკლებ არიან წამხდარნი სოფლელნი დაბალნი ხალხნი ქალაქის ხალხზედ.

ქერძოგბითი განცხადება.

პროსიიდგან მოსულს, განათლებულს კაცს, რომელსაც კარგათ აქვს ნასწავლი ეკონომია და სოფლის მეურნეობა, ჰსურს მიწა იქირაოს შესამუშაებლათ. ვინც მიწის ქირით გაცემას ისურვებს, იმას სთხოვენ თავისი პირობა „დროების“ რედაქციას შეატყობინოს. თვითონ მიწის დაქირავების მსურველი სცხოვრებს რიყეზედ, უფ. მერკანტალერის სახლში, ტფილისში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го августа 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.